კულტურის კვლევები

1. დასავლეთი და აღმოსავლეთი: შედარებითი კვლევის საფუძვლები

The West and the East: Foundations of Comparative Research

სასწავლო კურსი მოიცავს შედარებითი კვლევის პრობლემებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ოპოზიციას. პრობლემა წარმოდგენილია ქრონოლოგიური პრინციპით. ცნებების დასავლეთისა და აღმოსავლეთის გაგება. სასწავლო კურსში წარმოდგენილია შუა საუკუნეების საზოგადოებრივი ფენები და ინსტუტები სხვადასხვა სივრცეში- აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპასა და ისლამურ სამყაროში. თანამედროვე კვლევის მეთოდების საუფძველზე განხილული იქნება ამ ინსტუტუციათა ფუნქციონირების თავისებურებანი და მსგავსებანი.

2. ბიზანტიური ცივილიზაცია (ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებანი)

The Byzantine Civilisation (Main Characteristics and Peculiarities)

სასწავლო კურსის შესწავლა მიზნად ისახავს ბიზანტიის სახელმწიფოსა და ბიზანტიური საზოგადოების დამახასიათებელი თავისებურების, აღმოსავლეთ მედიევალური ქრისტიანული სამყაროს გაცნობას. ბიზანტიური სახელმწიფოს მართვის სისტემის, სამართლის, დიპლომატიის საერო და სასულიერო ხელისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებათა საკითხების შესწავლას. კურსში განხილულია ბიზანტიური აზროვნების ფორმა და მისი თავისებურებანი; ბიზანტია და ისლამური სამყარო; ბიზანტია და კათოლიკური სამყარო. ბიზანტიური ფენომენი თანამედროვე დიპლომატისა და აზროვნებაში.

3. ცნებითი აპარატი და ძირითადი კონცეფციები კულტურის მეცნიერებებში

Concepts and Main Conceptions in Cultural Studies

სასწავლო კურსის შესწავლა მიზნად ისახავს მაგიატრანტებს შეექმნათ წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ როგორ ყალიბდებოდა და ვითარდებოდა მეცნიერული ცოდნა კულტურის ფენომენის შესახებ, როგორ ყალიბდებოდა კვლევისას გამოყენებული სამეცნიერო აპაპრატი. გაეცნობიან სამეცნიერო დისციპლინათა

წარმომადგენლების ნააზრევს, რომლებიც საფუძვლად დაედო კულტურის კვლევათა ჩამოყალიბებას ცალკე დარგად.

4. **ინტერკულტურული კვლევები**

Intercultural Studies

კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს ინტერკულტურული კვლევის საფუძვლები, მის არსი და მნიშვნელობა; კვლევის კომპარატივისტული მეთოდი; ინტერკულტურული კომუნიკაციის არსი, კულტურათაშორისი ურთიერთობების შესაძლებლობები და დონეები, ამ პროცესში წარმოქმნილი სირთულეები და მათი გადალახვის შესაძლებლობები; კულტურათაშორისი თარგმნის პრობლემა; ინტერკულტურული დიალოგის როლი უსაფრთხოების საკითხში.

5. **ისტორიული პროცესი და კულტურის კვლევები: მეთოდოლოგიური საფუძვლები**
Historical Process and Cultural Studies: Metodological Framework

სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს ისტორიული პროცესის კულტურული კონტექსტის როლი და მნიშვნელობა, მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომელთაც დაემყარა კულტურის კვლევათა ისტორიული დისკურსი, ძირითადი მიმდინარეობები და დისკუსია სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის წარმომადგენელთა შორის. სტუდენტებს უნდა ჩამოუყალიბდეთ წარმოდგენა მეთოდოლოგიურ პრობლემებზე, რომლებიც დღეს კულტურის მეცნიერებათა წინაშე დგას.

6. **კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები**

Conflicts in Caucasus and the Ways of their Resolution

სასწავლო კურსი მაგისტრანტს სთავაზობს პოსტსაბჭოთა კავკასიის კონფლიქტების ანალიზს ახალი პერსპექტივიდან, განსხვავებით ისტორიული მიზეზებისა, ეთნიკურობის პოლიტიზაციისა ან რელიგიური დაპირისპირებებისა. კურსის ფარგლებში კომპარატივისტულ კონტექსტში დეტალურადაა გაანალიზებული ელიტების და მათი ორგანიზაციების როლი რეგიონის თითოეული კონფლიქტის შემთხვევაში. დეტალურადაა გააზრებული შიგა და გარე "ორგანიზაციების" როლი კომპარატივისტულ ჭრილში; მათი ურთიერთქმედების პარალელურად დანახულია პოსტ-საბჭოთა პროცესებზე მათი ზეგავლენა.

7. **კულტურული იდენტობის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში**

Problems of Cultural Identity in Modern World

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს თანამედროვე მსოფლიოში კულტურული იდენტობისა და თვითიდენტიფიკაციის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას. კურსში გაანალიზებულია კულტურული იდენტობების ფორმირების საკითხი პოსტკოლონიურ ეპოქაში, გლობალიზაციისა და იდენტობის, მშობლიური ენისა და იდენტობის ურთიერთმიმართების საკითხები, იდენტობის კრიზისის განმაპირობებელი ფაქტორები და ახალი, დასავლეთის ალტერნატიული იდენტობების ჩამოყალიბების პროცესი.

8. **კულტურა და რელიგია კავკასიაში**

Culture and Religion in the Caucasus

სასწავლო კურსის მიზანია კავკასიაში კულტურებისა და რელიგიების გავრცელების თანამედროვე სურათისა და ისტორიული დინამიკის წარმოდგენა, მიმდინარე პროცესების კულტურული და რელიგიური საფუძვლების ჩვენება, კავკასიის ეთნიკურად და კონფესიურად ჭრელ რეგიონში მიმდინარე პროცესებში ორიენტირების უნარის გამომუშავება, ბიძგის მიცემა შექმნილი პრობლემებიდან გამოსავლის ძიებისათვის. კურსი მოიცავს კავკასიაში რელიგიისა და კულტურის პრობლემებთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებსა და კონცეფციებს.

9. **გლობალიზაცია და კულტურა**
Globalization and Culture

კურსის მიზანია გლობალიზაციის არსის გააზრება, მისი კვლევისას კულტურის ასპექტებზე ყურადღების გამახვილება. კულტურის გლობალიზაციის გამოწვევების, დასავლურ და არადასავლურ კულტურებში მიმდინარე პროცესების გაანალიზება. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში მცირე კულტურების, მათ შორის ქართულის, ადგილის წარმოდგენა.

10. **კულტურა და მოდერნიზაცია**
Culture and Modernization

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს მოდერნიზაციის არსის, მოდერნიზაციისა და კულტურის ფენომენთა ურთიერთმიმართების საკითხის წარმოდგენას. შესასწავლ

პრობლემათა ფარგლებში გამოყენებული ცნებებისა და კატეგორიების შინაარსში გარკვევას; მოდერნიზაციის პროცესში ქართული კულტურის განვითარების პრობლემების, დასავლურ და არადასავლურ კულტურებში მიმდინარე პროცესების, მოდერნიზაციისa და გლობალიზაციის ურთიერთმიმართებაზე არსებულ მოსაზრებათა ჩვენებას.

11. **კულტურის პოლიტიკის საფუძვლები**

Foundations of Cultural Policy

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს, გააცნოს სტუდენტს თანამედროვე კვლევების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფერო – კულტურის პოლიტიკის არსი, მიზნები, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა, კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბება და სამართლებრივი საფუძვლები. კურსში კულტურის პოლიტიკა განხილულია სხვადასხვა პრიზმაში: კულტურის პოლიტიკა სამოქალაქო ინტეგრაცის სფეროში, განათლების სფეროში, კულტურის პოლიტიკა მულტიკულტურულ საზოგადოებაში, ენობრივი პოლიტიკა, იდენტობის პოლიტიკა, რეგიონული იდენტობების კონსტრუირება და სხვ.

12. **კოლექტიური მეხსიერება და იდენტობის პოლიტიკა**

Collective Memory and Identity Policy

სალექციო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია სხვადასხვა კულტურაში ისტორიის ორგანიზების, წარსულის დამახსოვრებისა და აღქმის თავისებურებათა ანალიზი, მეხსიერების კვლევის სფეროში არსებული ძირითადი ცნებებისა და თეორიების გაცნობა. ნაჩვენებია, რომ წარსულიდან დასამახსოვრებელი ინფორმაციის შერჩევა და ინტერპრეტაცია სოციალურად და კულტურულად არის განპირობებული. განხილულია წარსულის დამახსოვრების სხვადასხვა ფორმა და დროში მათი ცვალებადობა. გაანალიზებულია, თუ როგორ გამოიყენება ისტორია და წარსული სხვადასხვა სახის კონფლიქტურ სიტუაციებსა და, ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებში.

13. **რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა**

The Problem of Civilizational Belonging of Russia

სასწავლო კურსის სტუდენტებს აცნობს ცივილიზაციათა თეორიის არსსა და ძირითადი ასპექტებს, რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემასთან

დაკავშირებულ უმთავრეს მოსაზრებებს, ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიის არსს, მის მეცნიერულ მნიშვნელობასა და პოლიტიკურ კონტექსტს.

14. აკადემიური წერა და სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი
MA Thesis Design

მაგისტრანტი დაეუფლება თეორიული და ემპირიული კვლევის მეთოდებს და მათი პრაქტიკული გამოყენების ხერხებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში; კვლევის დაგეგმვის, ორგანიზების, მიღებული შედეგების ზეპირი და წერილობითი გადმოცემის ფორმებსა და წესებს; აკადემიურ სფეროში დამკვიდრებულ ქცევის, მეტყველების, წერის, საჯარო გამოსვლის ფორმასა და სტილს; კანონებს, რომლებიც სამეცნიერო გამოცემებში (პუბლიკაციებისათვის) არის დადგენილი.